

## დანართი 2

### სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის

### მონიტორინგის წესი

#### 1. ზოგადი დებულებები

1.1. მომსახურების მონიტორინგის პროცესი უნივერსიტეტში მოიცავს სწავლების ხარისხის კრიტერიუმების კონტროლს მათი მუდმივი სრულყოფის, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენებისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით. მონიტორინგის შედეგად ადმინისტრაციამ/უნივერსიტეტის მართვით ორგანოებმა უნდა განავითაროს და დაგეგმოს ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების სტრატეგია, პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ატარებენ ოფიციალურ სახეს და ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის.

1.2. გაწეული მომსახურების ხარისხის შეფასების უმთავრესი კრიტერიუმი დამკვეთთა კმაყოფილების მაჩვენებელია. ის კომპლექსური მონაცემია და მისი შეფასება სწავლების ხარისხის შეფასების გზით მოწმდება, რაც თავის მხრივ გულისხმობს შეფასდეს შემდეგი:

- საგანმანათლებლო პროგრამები და საგნობრივი სილაბუსები;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალი;
- ადმინისტრაციული პერსონალი;
- სასწავლო გარემო;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრება;
- კურსდამთავრებულთა დასაქმება;
- დამსაქმებელთა კმაყოფილება;

1.3. შეფასება ხორციელდება შემდეგი ციკლით:

- წინამდებარე წესით დადგენილია რომელი მაჩვენებლები რა პერიოდულობით და თანმიმდევრობით, რომელი კრიტერიუმებით და ვის მიერ იქნება შეფასებული;
- შემუშავებულია გამოკითხვათა ფორმები: სტუდენტებისათვის, პერსონალისათვის, კურსდამთავრებულთათვის, დამსაქმებლებისათვის;
- გამოკითხვის ფორმები შემუშავდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ და მტკიცდება აკადემიური საბჭოს მიერ;
- შეფასება განხორციელდება პასუხისმგებელი პირების მიერ წინასწარ დადგენილი კითხვარების შევსების გზით;
- კითხვარის შევსების პროცესი ნებაყოფლობითია;
- განხორციელებული შეფასებებით მიღებული ინფორმაციის ანალიზს და სტატისტიკურ დამუშავებას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ანგარიშს წარუდგენს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას (რექტორს/აკადემიურ საბჭოს);

- გამოკითხვათა შედეგები საფუძვლად დაედება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს, რომლსაც განიხილავს და ამტკიცებს აკადემიური საბჭო;
- შემუშავებული ღონისძიებების შესრულების მონიტორინგს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

## 2. გამოკითხვის ჩატარების წესი და შედეგების ანალიზი

- 1.1. სასწავლო წლის განმავლობაში გამოკითხვები ტარდება სხვადასხვა სიხშირით: სტუდენტების გამოკითხვა წარმოებს წლის განმავლობაში 2 ჯერ, პერსონალის დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების წელიწადში ერთხელ;
- 1.2. გამოკითხვების ორგანიზებასა და მონიტორინგს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან არსებული სასწავლო პროცესის მონიტორინგის სამსახური, პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ერთიანი რეესტრი;
- 1.3. გამოკითხვა ტარდება კითხვარების შევსების გზით, რომელთა შედგენა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაინტერესებული პირების ინტერესების გათვალისწინებით და მტკიცდება აკადემიური საბჭოს სხდომაზე;
- 1.4. გამოკითხვა ტარდება უშუალოდ, ზემოქმედებისა და ზედამხედველობის დაუშვებლობის სრული დაცვის პირობებში. რესპოდენტის სურვილისამებრ გამოკითხვა შეიძლება ანონიმურ ხასიათს ატარებდეს;
- 1.5. გამოკითხვის ვადების შესახებ ინფორმაცია განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე და საინფორმაციო დაფებზე;
- 1.6. სტუდენტების ინფორმირებულობაზე გამოკითხვის მნიშვნელობის, შინაარსის და პროცედურის შესახებ პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
- 1.7. უნივერსიტეტის კომპიუტერულ კლასებში/აუდიტორიებში გამოკითხვის პროცესის მონიტორინგს აწარმოებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი. დაუშვებელია გამოკითხვის პროცესს ესწრებოდეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, აკადემიური და დამხმარე პერსონალი;
- 1.8. გამოკითხვის შედეგების დამუშავება ხდება შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით. მზადდება სტატისტიკური ანალიზი და შედეგები განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
- 1.9. გამოკითხვის შედეგების საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამზადებს რეკომენდაციებს და აკადემიურ საბჭოზე დამტკიცების შემდეგ აწვდის უნივერსიტეტის რექტორს, დეკანებს და სხვა შესაბამის სუბიექტებს;
- 1.10. რეკომენდაციის მიმღები სუბიექტები (ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო და სხვა სტრუქტურული ერთეულები), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით, ერთი თვის ვადაში, შეიმუშავენ და აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენენ გამოვლენილი ხარვეზების, ნაკლოვანებების აღმოფხვრის და ახალი ინიციატივების განხორციელების ეფექტურ ღონისძიებებს;
- 1.11. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონიტორინგს და კოორდინაციას უწევს 1.9 და 1.10 პუნქტებით გათვალისწინებულ ღონისძიებებს და შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშს წარუდგენს რექტორს;

## 3. დასკვნითი დებულებები

წინამდებარე წესების დარღვევა იწვევს ჩატარებული გამოკითხვის შედეგების გაუქმებას და ხელახალი გამოკითხვის დანიშნას